კონტრშეტევების წყალობით

მოსკოვი. “ლოკომოტივის” სტადიონი. 8 სექტემბერი.

“ლოკომოტივი” (მოსკოვი) - “დინამო” (თბილისი) 0:3 (0:2).

“ლოკომოტივი”: ფროლოვი, ჟიტკუსი (მარგინი), როდიონოვი, ზაიცევი, დიკარევი, ბასალაევი, ინოგამოვი, კოხი, პეტროვი, შელუდკო, ორეშნიკოვი (ატამალიანი).

“დინამო”: ურუშაძე, ძოძუაშვილი, ხურცილავა, კანთელაძე, პეტრიაშვილი, ასათიანი (რეხვიაშვილი), ილიადი, მაჩაიძე, მეტრეველი, გ. ნოდია (კუტივაძე), გავაშელი.

მსაჯი ი. კაჩარი (კიევი).

დუბლიორები - 2:0 მოსკოველთა სასარგებლოდ.

პირველი საგოლე მომენტი ამ მატჩში მე-4 წუთზე შეიქმნა. ძოძუაშვილმა კარგად აუარა გვერდი რამდენიმე მცველს და ბურთი ჩააწოდა იქ, სადაც ორივე გუნდის ფეხბურთელები იყვნენ თავმოყრილი. როდიონოვმა უკანასკნელ წამს მიუსწრო ბურთს და ცარიელი კარიდან გამოიტანა იგი. 2 წუთის შემდეგ ანალოგიური რეიდი წამოიწყო ასათიანმა. მანაც ოსტატურად აუარა გვერდი რკინიგზელთა მცველებს და გარღვევაზე გაიყვანა ნოდია. თბილისელ ფორვარდს მეტოქეებმა გზა გადაუჭრეს. ნოდიამ წონასწორობა დაკარგა და წაქცეულმა ძლიერად დაარტყა ბურთს. მეკარე ფროლოვი ამ დროს წინ იყო გამოსული და მან, მხოლოდ თვალი გააყოლა კარისკენ მიმავალ ბურთს - 1:0.

ამ წარუმატებლობას მასპინძლებმა მწვავე შეტევებით უპასუხეს. დაახლოებით 10 წუთის მანძილზე ისინი არ მოშორებიან თბილისელთა საჯარიმო მოედანს. ამ კრიტიკულ მომენტში კარგად ითამაშა თბილისელთა დაცვამ და მეკარე ურუშაძემ. თანდათანობით, მასპინძლების შეტევებმა სიმძაფრე დაკარგეს და თბილისელებს კონტრშეტევების საშუალება მიეცათ. სწორედ ასეთი კონტრშეტევის დროს, მე-17 წუთზე, მეტრეველმა ოსტატურად ჩააწოდა ბურთი გავაშელს და მან თავური დარტყმით ანგარიში ორამდე გაზარდა.

მეორე ნახევარში მასპინძლებმა გააძლიერეს თავდასხმა: ორეშნიკოვის ნაცვლად შემოვიდა ატამალიანი. რკინიგზელებმა თბილისელთა კარის ხანგრძლივი შტურმი წამოიწყეს, მაგრამ ეს შტურმი სტიქიური გახლდათ. გაცილებით უფრო მწვავე და სახიფათო იყო დინამოელთა კონტრშეტევები. შეხვედრის დამთავრებამდე 2 წუთით ადრე მეტრეველმა და ძოძუაშვილმა გაითამაშეს კუთხური. ბურთი მიიღო უმეთვალყურეოდ დარჩენილმა გავაშელმა და კვლავ ზუსტი თავური დარტყმით კარში გაგზავნა.

თ. ჭიჭინაძე.
(ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.).
“ლელო”, 9 სექტემბერი, 1968.